

საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი (2018 წლის ნოემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2018 წლის ნოემბრის თვეში.

საქართველოს შრომის კოდექსი

2018 წლის 30 ნოემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ და მისი მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი ან დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებული ან დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც შექმნილია „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №87 და №98 კონვენციებით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით (შემდგომ – დასაქმებულთა გაერთიანება).“

ორგანული კანონი ამოქმედდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2018 წლის 30 ნოემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილში და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის სხვა წესები განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.“

კანონი ამოქმედდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

ქალაქ ბათუმის საკრებულოს დადგენილება №69

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 313-ე მუხლის მე-17 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 30 ნოემბერს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების პროცედურა. აღნიშნული წესი განსაზღვრავს, უფლებამოსილი პირის მიერ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77¹ და 77² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების პროცედურას და მისი მიზანია საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის (შემდგომში – ხმაური) დონის გაზომვისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77¹ და 77² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა.

დადგენილება ამოქმედდა 2018 წლის 30 ნოემბერს, გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

2018 წლის 31 ოქტომბერს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, კერძოდ მისი 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ეხება ნებართვის მისაღებად წარსადგენ დოკუმენტაციას, ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: განცხადებას უნდა ერთვოდეს: კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერები (გარდა ამ კანონის 24-ე მუხლის 28-ე და 281 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ხოლო ფიზიკური პირისთვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.“

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2018 წლის 31 ოქტომბერს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №259/04

2018 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №259/04-ით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 523 მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებისა და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად დამტკიცდა დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესი. ეს წესი შემუშავებულია „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს:

- ა) მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს საპენსიო სააგენტოსათვის დეპოზიტარული მომსახურების გაწევის მსურველი;
- ბ) ფინანსური ინსტიტუტისათვის სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სტატუსის მინიჭების (შემდგომში: ავტორიზაცია)/აღიარების და ავტორიზაციის/აღიარების გაუქმების პირობებს;
- გ) დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციებსა და მოვალეობებს; ასევე მის მიერ პერიოდული და მიმდინარე ანგარიშგებების წარდგენის წესს.

ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 30 ნოემბერს, გამოქვეყნებისთანავე.